ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1558561

ნომერი: AR1260354

თარიღი : 23.10.2014

გაცემის თარიღი : 27.10.2014

გაცნობის თარიღი : 27.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , (ნაკვ. 12/004) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯიქია პ/ნ 01006013220
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 26 ბ. 36

ორგანიზაცია:

- შპს წალკა 91 კოდი: 243119718

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის თაობაზე, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.33.012.004 სათბურის და საშრობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ: აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2011 წლის 16 ნოემბერს მომზადებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სასაწყობე შენობის ფუნქციით. ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად ძველი ,,გაპი“–ს განმცხადებელმა ამ ნიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა მოითხოვოს აღნიშნული #1746 (16.11.11.) პირობების გაუქმება და ახლის მომზადება სასურველი ფუნქციით (აღნიშნული მოქალაქეები შესაძლებელია დაფიქსირდნენ თანაგანმცხადებლად). ამასთან ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში უნდა დააზუსტოთ თუ რისი საშრობის განთსავსებას აპირებთ, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენოთ დამატებითი ველიც.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ: მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.19.33.012.004 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ში სადაც მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დომინირებული ფუნქციური სახეობაა: – ა) სამრეწველო ობიექტები, რომელშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე/სახიფათო საწარმოო პროცესები;
ბ) შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი მომსახურების ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 23 ოქტომბერს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 03 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 09 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული ინფორმაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.